



საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

”ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები”



**FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG**



17 ნოემბერი, 2018 წელი



”Museum Hotel”

მის: ქ. თბილისი, ვახტანგ ორბელიანის 10

საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია:

”ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები”

2018 წლის 17 ნოემბერს ჩატარდება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა (EEU) და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ერთობლივი საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია ”ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები”. კონფერენციის ოფიციალური პარტნიორია ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში.

კონფერენციის მიზნები:

- ევროინტეგრაციის პერსპექტივების განხილვა და შეფასება;
- სტუდენტთა სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება;
- სამეცნიერო კავშირების გაბმა ქართველ და საერთაშორისო სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევარებს შორის;
- ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით და მათი ინოვაციური პოტენციალის ხელშეწყობა.

კონფერენცია ფარავს შემდეგ სექციებს:

- ✓ ეკონომიკა და ინოვაციები;
- ✓ საჯარო მმართველობა და ევროპის საჯარო და სისხლის სამართალი.

მნიშვნელოვანია სტუდენტებმა გამოავლენონ პროფესიულ მიდგომები კონფერენციის სექციებზე და წარმოადგინონ აქტუალური და ინოვაციური ნაშრომები!

მონაწილეობის საფასური

კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომების ბეჭდვა და კვება ფინანსდება ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და ორგანიზატორი უნივერსიტეტების მიერ.

ვის შეუძლია კონფერენციაში მონაწილეობის მიღება?

სადოქტორო პროგრამების სტუდენტებსა და პოსტ-დოქტორანტებს, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ენას B2 დონეზე და რომლებიც დადგენილ ვადებში წარმოადგენენ მოთხოვნების შესაბამისად შესრულებულ დოკუმენტაციას.

დამატებითი ინფორმაცია კონფერენციის შესახებ

- კონფერენციაში მონაწილე კანდიდატები შეირჩევიან კონფერენციის საკონკურსო კომისიის მიერ, გამოგზავნილი ანოტაციისა და სამეცნიერო ნაშრომის საფუძველზე;
- კონფერენციის სამუშაო ენა: ქართული და ინგლისური (კონფერენციაზე უზრუნველყოფილი იქნება სინქრონული თარგმანი);
- რეგლამენტი: მოხსენება (ინგლისურ ენაზე) - 15 წუთი, დისკუსია (კითხვა პასუხის რეჟიმში) - 5 წუთი;
- თითოეულ სექციაზე გამოვლინდებიან გამარჯვებულები;

კონფერენციაში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირებმა:

- ✓ უნდა გაიარონ რეგისტრაცია **ბმულზე** არაუგვიანეს **2018 წლის 8 ოქტომბრისა;**
- ✓ უნდა გამოგზავნონ ერთ გვერდიანი ინგლისურ ენოვანი ანოტაცია და სამეცნიერო ნაშრომი არაუმეტეს 12 გვერდისა, არაუგვიანეს **2018 წლის 26 ოქტომბრისა** შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Sciencepapers@eeu.edu.ge
- ✓ უნდა გამოგზავნონ პრეზენტაცია (მაქსიმუმ 15 სლაიდი) არაუგვიანეს **2018 წლის 9 ნოემბრისა;**

საკონტაქტო ინფორმაცია: თათია ღერკენაშვილი, კვლევითი გრანტების კოორდინატორი E-mail.: tatia.gherkenashvili@gmail.com; Mob.: 598 10 57 59

მოთხოვნები სამეცნიერო ნაშრომის გასაფორმებლად

სამეცნიერო ნაშრომის სათაური, სახელი–გვარი, სამეცნიერო წოდება და ხარისხი – უნდა იყოს ცენტრში; შრიფტი–Times New Roman; ფონტის ზომა –12.

ავტორის ფოტო – ზომა 3X4 სმ.

სამეცნიერო ნაშრომის მოცულობა – ანოტაციის გარეშე არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს (შრიფტი – Times New Roman, ტექსტის ფონტის ზომა –11, სტრიქონებს შორის მანძილი 1,5 და ველები: ზედა, ქვედა, მარცხენა ველები –1,2“ და მარჯვენა ველი – 1“. თითოეული აბზაცის პირველი სტრიქონი უნდა იყოს 5-7 პოზიციით შეწყული.

ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში **A4** ზომის სტანდარტულ ფურცელზე. ფაილის სახელწოდება უნდა იყოს ავტორის გვარი, მაგალითად, Burkadze.doc


სქოლიო – სქოლიო ნაშრომის ფარგლებში შეიძლება განთავსდეს გვერდის ქვედა ნაწილში ან ნაშრომის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10. სქოლიოს განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. სქოლიოში ლიტერატურული წყაროების მითითება განხორციელდეს შემდეგი სტილით:

- **წიგნი:** ავტორის სახელი და გვარი ზუსტად ისე, როგორც წიგნის სატიტულო გვერდზეა წარმოდგენილი, სათაური, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდი;
- **სამეცნიერო სტატია:** ავტორის სახელი და გვარი, სტატიის სრული სათაური, ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, ნომერი, გვერდების ნომრები ან ადგილის დასადგენი სხვა ინფორმაცია;
- **ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატია:** ავტორის სახელი გვარი, „სტატიის სათაური,“ ჟურნალის სახელწოდება ჟურნალის ნომერი (გამოსვლის თარიღი), ქვესათაურის „ქვესათაური“ ქვეშ, ვებ-გვერდის მისამართი (წვდომის თარიღი);
- **ინტერნეტში განთავსებული და სხვა ელექტრონული წიგნები:** სტანდარტული ელემენტების გარდა აუცილებელია ვებ-გვერდის მისამართის და წვდომის თარიღის მითითება: ავტორის სახელი და გვარი, წელი, სათაური, გამოცემის ნომერი. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. ვებ-გვერდის მისამართი (წვდომის თარიღი). სხვა ელექტრონულ ფორმატში გამოქვეყნებული (მაგ.: CD-ROM, Microsoft Reader e-book) წიგნების მითითებისას მიუთითეთ წიგნის ფორმატიც.
- **ციტირება:** ტექსტის ციტირებული ფრაგმენტი, არა უმეტეს 900 სიმბოლოსი, უნდა განთავსდეს ბრჭყალებში, ხოლო ავტორი, წყაროს დასახელება, გამოქვეყნების თარიღი და გვერდი უნდა მიეთითოს სქოლიოში. თუ ციტირებისას გამოქვეყნების თარიღი ხელმისაწვდომი არ არის, უნდა მიეთითოს შემოკლება n.d.(no date);

საილუსტრაციო მასალა – საილუსტრაციო მასალა (დიაგრამები, ცხრილები, სურათები, სქემები) ჩართული უნდა იყოს ტექსტის ძირითად ნაწილში შესაბამისი ნუმერაციის მითითებით (მაგ. ცხრილი 1, დიაგრამა 2, ნახატი 3.

სამეცნიერო ნაშრომის ნიმუში

სახელმწიფო ორგანიზაციებში მართვის სრულყოფის საკითხები



გიორგი ბურკაძე

პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

- ✓ შესავალი – პრობლემის არსი, თემის აქტუალობა და ძირითადი ცნებების განმარტებანი;
- ✓ ძირითადი ნაწილი – აისახება ჩატარებული კვლევა; საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ქვეთავების გამოყოფა;
- ✓ დასკვნა – სადაც ლაკონურად იქნება წარმოდგენილი მიღებული შედეგები და წინადადებები;
- ✓ გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - ჩამონათვალში უნდა მიეთითოს მხოლოდ ის წყარო, რომელიც კვლევის დროს ან შრომის მომზადებისას იყო გამოყენებული; (ჩამონათვალი უნდა მიეთითოს ანბანის მიხედვით, გამოყენებული ლიტერატურა – ცენტრში – Bold #12, სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1,5; თითოეული წყაროს მეორე სტრიქონი უნდა შეიწიოს 5–7 პოზიციით);

ანოტაცია – მიზანი, სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა, დასკვნები, კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა, სიახლე/ღირებულება. ანოტაცია უნდა დაიწეროს გამოყენებული ლიტერატურის შემდეგ ინგლისურ ენაზე (მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს, შრიფტი - Times New Roman #11; სტრიქონებს შორის მანძილი 1,5; სათაური – #12 – Bold, ცენტრში; **ავტორის სახელი და გვარი, უნივერსიტეტი** – #12 – italics, centered; ველები – მარჯვენა ველი - 2 სმ, მარცხენა ველი - 2.50 სმ, ზედა ველი - 2 სმ, ქვედა ველი 2 სმ; პირველი სტრიქონი არ უნდა იყოს შეწეული).

გამოყენებული ლიტერატურა

1. წიგნი, რომელსაც ერთი ავტორი ჰყავს

Rodriguez, R. (1982). *A Hanger of Memory: The Education of Richard Rodrigueus*. Boston: Godine.

Berndt, T. J. (2002). Friendship quality and social development. *Current Directions in Psychological Science*, 11, 7-10.

2. წიგნი, რომელსაც ორი ავტორი ჰყავს

Nesselroade, J.R., & Baltes, P.B. (1999). *Longitudinal research in behavioral studies*. New York: Academic Press.

3. წიგნი, რომელსაც 3 დან 7 მდე ავტორი ჰყავს

Kernis, M. H., Cornell, D. P., Sun, C. R., Berry, A., Harlow, T., & Bach, J. S. (1993). There's more to self-esteem than whether it is high or low: The importance of stability of self-esteem. *Journal of Personality and Social Psychology*, 65, 1190-1204.

4. წიგნი, რომელსაც რედაქტორი ჰყავს

Dohrenwend, B. S., & Dohrenwend, B. P. (Eds). (1994). *Stressful life events: Their nature and effects*. New York: Weley.

5. წიგნი, რომელსაც მთარგმნელი ჰყავს

Trajan. P. D. (1927). *Psychology of animals* (H. Simone, Trans.). Washington, DC: Halperin.

6. წიგნი, რომლის ავტორი უცნობია

Mariam-Webster's collegiate dictionary (10th ed.). (1997). Springfield, MA: Mariam-Webster.

7. ერთი და იმავე ავტორის ორი ან მეტი შრომა, რომელიც ერთსა და იმავე წელსაა გამოქვეყნებული

Gardner, H. (1973a). *The arts and human Development*. New York: Weliy.

Gardner, H. (1973b) *the guest for mind: Pieaget, Levi-Strauss, and the structuralist movement*. New York: Knopf.

Berndt, T. J. (1981a). Age changes and changes over time in pro-social intentions and behavior between friends. *Developmental Psychology*, 17, 408-416.

Berndt, T. J. (1981b). Effects of friendship on pro-social intentions and behavior. *Child Development*, 52, 636-643.

8. სტატია ან თავი რედაქტირებული წიგნიდან

Paykel, E. S. (1994). Life stress and psychiatric disorder: Applications of the clinical approach. In

B.S. Dorhewend & B.P. Dorhenwend (Eds.), Stressful life events: Their nature and effects (pp. 239-264). New York Weliy.

9. სტატია ყოველწლიური ჟურნალიდან

Emery, R.E. (1992). Marital turmoil: interpersonal conflict and the children of discord and divorce. *Psychological Bulletin*, 92, 310-330

10. სტატია ჟურნალიდან, რომელსაც ცალკეული ნომრები აქვს

Dacey, J. (198). Management participation in corporate buy-outs. *Management Perspectives*, 7(4), 20-31

11. სტატია ჟურნალიდან

Van Gelder, L. (1996, Desember). Countdown to motherhood: When should you have a baby? *Ms.*, 37-39, 74.

12. მიმოხილვა

Dinnage, R. (1987, November 29). Against the master and his men [Review of the book *A mind of her own: The life of Karen Horney*]. *The New York Times Book Review*, 10-11.

Compensation Satisfaction in the Baltics and the USA

Giorgi Burkadze

East European University

Abstract

Purpose - This study aims to examine the extent to which the demographic and work-related variables of educational level, gender, age, salary level, organizational tenure, and union membership are useful predictors of satisfaction with pay level, benefits, raises, and the structure/administration of a compensation system. These variables have previously been utilized in the prediction of satisfaction with pay levels, but have not been tested as useful predictors of the other three dimensions of compensation satisfaction.

Design/methodology/approach - This study used multiple regression analyses and samples of 423 employees in the USA with a 63 percent response rate and 519 employees in the Baltics with a 73 percent response rate.

Findings - It was found that not all of the variables are equally useful predictors of each of the four dimensions of compensation satisfaction and that differential prediction is occurring among the four dimensions and across the two world regions. Surprisingly, it was found that in seven of the eight analyses the strongest predictor of satisfaction with the four dimensions of compensation satisfaction is job tenure, while actual compensation level, which was expected to be the strongest predictor, was found to be quite weak.

Research limitations/implications - A major weakness is that all of the data were self-reported. Ideally the demographic and work-related variables would have been collected directly from the organization in addition to being collected from employees. A second limitation is that the characteristics of the present sample may limit the ability to generalize the results. An inordinate number of the subjects were unionized, female, and married. The major implication is that the paper supports the differential prediction for various dimensions of compensation satisfaction and for the need to explore for additional variables that can account for significant proportions of the variance in these dimensions.

Originality/value - The paper is the first of its kind to examine in a single or cross-cultural setting the relationship between common demographic and work-related factors and compensation satisfaction while controlling for organizational level. The literature review traverses the research in the area stretching from the 1940s to 2005 and makes specific suggestions for future research that could advance the field.

ცხრილის ნიმუში


Table 1

The proportion of income adults and children spent on 4 common items in the UK in 1998

	food	electronic equipment	music	videos
adults	25%	5%	5%	1%
men	14%	10%	5%	2%
women	39%	1%	5%	0.5%
children	10%	23%	39%	12%
boys	9%	18%	38%	18%
girls	11%	5%	40%	17%

დიაგრამის ნიმუში

Chart 1



გისურვებთ წარმატებას!

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური